

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის
ფილიალის საქართველოში

2018 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)	10
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	11



Grant Thornton

An instinct for growth™

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტი თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

“ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალის საქართველოში” დამფუძნებელ კომპანიას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული “ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალის საქართველოში” ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების და ფულადის ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე პერიოდის დასრულებული წლებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული პერიოდის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პაუსისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მე-16.3 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს მიმდინარე პირობით ვალდებულებებს, დაკავშირებულს უფლებამოსილი წარმომადგენლის (დირექტორის) საშემოსავლო გადასახადთან, რომელიც ანაზღაურებას იღებს პირდაპირ სათავო კომპანიიდან, კონტრაქტის ფარგლებში აგრეთვე ასრულებს სხვა მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს. თანამშრომლის ეს სახელფასო სარგებელი არ არის წარმოდგენილი ხარჯებში “ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალის საქართველოში” და არ ხდება დეკლარირება საგადასახადო კუთხით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რაიმე შემოსავალი, რომელიც გადახდილია ფილიალის დირექტორისთვის ან მენეჯერისთვის არის დასაბეგრი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებასთან ერთად, დამფუძნებელმა კომპანიამ უნდა დაიწყო პროცესის ინიცირება, რომელიც მოახდენს საქართველოში ოპერაციების დირექტორისთვის გამოყოფილი სახელფასო განაკვეთის შეფასებას და დადასტურებას მენეჯმენტის მიერ. ამ პროცედურების ჩატარების და დასრულების შემდგომ, შესაძლებელი იქნება შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის სწორად დაანგარიშება. იმ შემთხვევაში თუ, ჩატარდება შემოწმება საგადასახადო ორგანოს მიერ “ანას ინტერნეშენალ ენტერპრაიზის ფილიალში საქართველოში”, სავარაუდოა, რომ შემოსავლების სამსახურმა დააკისროს დამატებითი საგადასახადო საურავები და ჯარიმები. ასეთი დამატებითი ვალდებულებები არ შეიძლება საიმედოდ იყოს შეფასებული. რიგი სხვადასხვა მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული ინსპექციის მიერ, რათა შეაფასონ გადაუხდელი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება პირობითი არ არის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, კვევამათ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი

აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

2019 წლის 2 ივლისი



ქეთევან ლამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში	შენიშვნა	2018 წლის დეკემბრისათვის	2017 წლის დეკემბრისათვის
ქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	13,157	17,290
არამატერიალური აქტივები		684	1,056
		13,841	18,346
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		420	420
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,233,833	1,612,165
ფული საბანკო ანგარიშებზე		2,027,862	865,163
		4,262,115	2,477,748
სულ აქტივები		4,275,956	2,496,094
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
დაგროვილი ზარალი		476,506	(461,887)
		476,506	(461,887)
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	3,286,525	2,653,725
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისაგან	7	512,925	304,256
		3,799,450	2,957,981
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,275,956	2,496,094


ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია 2019 წლის 2 ივლისს:

ლაურენტ ფრანციოსი

ნატალი გომიშვილი

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



თანდართული შენიშვნები 11-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარში		2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
	შენიშვნა		
შემოსავალი	8	8,712,023	3,699,937
სხვა შემოსავალი		-	20
		8,712,023	3,699,957
ქვე-კონტრაქტორების კონსულტაციის ხარჯი	9	(7,119,580)	(3,936,449)
დაზღვევის ხარჯი		-	(175,482)
ხელფასის ხარჯები		(364,069)	(112,260)
იჯარის ხარჯი		(53,860)	(43,317)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7,709)	(2,487)
სხვა ხარჯები	10	(112,306)	(64,071)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,054,499	(634,109)
ფინანსური შემოსავლები		-	5
სხვა ფინანსური ერთეულები	11	(116,106)	172,217
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		938,393	(461,887)
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		938,893	(461,887)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი		-	-
მთლიანი მოგება/(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		938,893	(461,887)

თანდართული შენიშვნები 11-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარში	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	ჯამი
2017 წლის 1 იანვარი	-	-
ზარალი წლის განმავლობაში	(461,887)	(461,887)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	(461,887)	(461,887)
2017 წლის 31 დეკემბერი	(461,887)	(461,887)
მოგება წლის განმავლობაში	9 38,393	9 38,393
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	9 38,393	9 38,393
2018 წლის 31 დეკემბერი	476,506	476,506

თანდართული შენიშვნები 11-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარში

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	938,393	(461,887)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	7,709	2,487
ფინანსური შემოსავალი	-	(5)
საკურსო სხვაობა	116,106	(172,217)
საოპერაციო ზარალი კაპიტალში ცვლილებამდე	1,062,208	(631,622)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(583,007)	(1,612,165)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	-	(420)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	843,186	2,651,828
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,322,387	407,621
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,322,387	407,621
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,204)	(20,833)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	5
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,204)	(20,828)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სასესხო შემოსულობები დაკავშირებული მხარეებისაგან		280,082
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის დაფარვა	(3,160)	*
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,160)	280,082

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

წმინდა ფულის ცვლილება	1,316,023	666,875
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	(153,324)	198,288
ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	865,163	-
ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	<u>2,027,862</u>	<u>865,163</u>

თანდართული შენიშვნები 11-31 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

“ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალი საქართველოში” დაარსდა 2017 წლის მარტში. იგი წარმოადგენს ფილიალს ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA, რომელიც დაფუძნებულია იტალიაში.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურება 2017 წლის ივნისში გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტსა და ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზს SPA & Gestione Progetti Ingegneria SRL & IRD Engineering SRL- ს შორის. კონტრაქტის საგანია საკონსულტაციო მომსახურება - preparation of feasibility study and detailed design for E-60 highway section from Natakhtari to Rustavi (Tbilisi Bypass).

კომპანიის იურიდიული მისამართია: გივი კარტოზიას ქ 6, საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად გამოშვებული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ლარში.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებისა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ცოდნას მიმდინარე მოვლენების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და შესაბამისად იმ წელში, რომელშიც პირობები შეიცვალა თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები მოდიფიცირდება (იხილეთ შენიშვნა 13).

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის ("IFRIC") მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ამ ცვლილებების ხასიით და გავლენა მოცემულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტანდარტები პირველად გამოყენებულია 2018 წელს, მათ არ ქონიათ არსებით გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრის ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ ("IASB") გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი ახალი, ე.წ. "მოსალოდნელი ზარალის" მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ განმარტებას ჰეჯირების ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის დანერგვისას, კომპანიამ გამოიყენა გარდამავალი რელიეფი და არ დანერგა წინა პერიოდებზე. განსხვავება, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, გაზომვასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფასს 9-ის დანერგვამ შესაძლოა გავლენა იქონიოს შემდეგზე:

- კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა ფლობს შენარჩუნების და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ამან შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებზე და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ინვესტიციებზე სავალო ტიპის აქტივებში. ფასს 15-ით განსაზღვრულ სახელშეკრულებო აქტივებისა და სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანიას შეუძლია გამოიყენოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების გამარტივებული მიდგომა, რადგან ისინი არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს.

ფასს 9-ის მიღების შედეგად ცვლილებები არ აღინიშნება ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისას.

ფასს 15 "ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან"

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18 ამონაგებს, ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტებს და რამდენიმე ამონაგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს.

ახალი სტანდარტი დაინერგა რეტროსპექტიულად გადაანგარიშების გარეშე, საწყისი დანერგვის კუმულირებული ეფექტი აღიარდა როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ბალანსის კორექტირება 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით.

გარდამავალი დებულების შესაბამისად ფასს 15 გამოიყენება მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომლებიც დასრულებული არ არის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფასს 15-ის მიღების შედეგად არ დამდგარა საწყისი კუმულაციური კორექტირების გატარების საჭიროება, რადგან საკონსულტაციო კონტრაქტები, რომლებიც არ იყო დასრულებული 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის არ აკმაყოფილებდა იმ დროისთვის შესრულებული სამუშაოსათვის გადახდის აუცილებელ პირობას, ე.ი. ანაზღაურება უკვე განხორციელებული, მაგრამ გადაუხდილი სამუშაოსთვის არ არის მისაღები, ვიდრე შასაბამისი ანგარიში, როგორც ეს ხელშეკრულების მიწოდების გრაფიკშია აღწერილი, არ არის წარდგენილი და მიღებული კლიენტის მიერ.

შესაბამისად, 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის შესრულებული სამუშაოსთვის შემოსავალი არ იქნა აღიარებული.

ფასიკ 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

ფასიკ 22 განიხილავს როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას.

ფასიკ 22 მიმართავს ამ საკითხს რომ განმარტოს იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ ავანსად გადახდის ან მიღების ბევრი შემთხვევა არსებობს, საწარმომ ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული გადახდილი ან მიღებული საავანსო ანაზღაურებისათვის.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების დადასტურების დღისათვის, არის სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") მიერ, მაგრამ არაა ძალაში შესული. კომპანიას ჯერ კიდევ არ დაუწყო მათი დანერგვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში იმ დღიდან, როცა ისინი ძალაში შევა. ინფორმაცია იმ სტანდარტებზე, განახლებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც გავლენა აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოყვანილია ქვემოთ. გარდა ქვემოთ აღნიშნულისა, უკვე გამოქვეყნებულია რიგი სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციებიც, რომლებსაც, როგორც ხელმძღვანელობა ვარაუდობს, არსებითი გავლენა არ ექნებათ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით.

ფასს 9-ის თანახმად ვალის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლით, მოცემულია რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის "მხოლოდ გადახდები ძირის და პროცენტის დარჩენილ ძირ თანხაზე" (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტს ფლობს შესაბამისი ბიზნეს მოდელის კლასიფიკაციის შესაბამისად. ფასს 9-ის ცვლილებები იკვლევს ფინანსურ აქტივებს, რომლებიც გადის SPPI-ის კრიტერიუმს მიუხედავად გავლენისა და გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას და მიუხედავად იმისა, რომელი მხარე იხდის თუ მიიღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები უნდა განხორციელდეს რეტროსპექტულად და მოქმედებს ფინანსური წლის დასაწყისიდან 2019 წლის 1 იანვრიდან პერიოდისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ შეუფასებია ამ ცვლილებების გავლენა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და დანართებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარებს დაავალდებულებს "საბალანსო ანგარიშის" მეთოდით აღრიცხული არსებული იჯარები, აღრიცხონ "გამოყენების უფლების" მეთოდით, როგორც საიჯარო აქტივები, ასევე საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 16 აგრეთვე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- განსაზღვრავს აღრიცხვის სტანდარტებს აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, შედარებით რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორც არის არა-საიჯარო ელემენტები, განსხვავებული საიჯარო გადახდები და არჩევითი პერიოდები;

- მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივის იჯარებს უზრუნველყოფს გათავისუფლებისგან;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- უცვლელად ტოვებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით დანართებთან დაკავშირებით.

ფასს 16 მოთხოვნის მიხედვით გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ. სტანდარტის ადრეული, ნებაყოფლობითი ამოქმედება ნებადართულია ფასს 15 “შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან” სტანდარტთან ერთად. კომპანიას ნებაყოფლობით არ შეუფასებია ფასს 16 ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვეველობა

ფასიკ 23-ში განმარტებულია, როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები, კერძოდ (i) საწარმო მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე იხილავს თუ არა, (ii) რა დაშვებებს აკეთებს საწარმო საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით, (iii) როგორ განსაზღვრავს დასაბეგრ მოგებას (ან ზარალს), საგადასახადო ბაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და საგადასახადო განაკვეთებს და (iv) როგორ ითვალისწინებს საწარმო ფაქტებსა და გარემოში მომხდარ ცვლილებებს.

ფასიკ 23 ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

ყოველწლიური განახლებები 2015-2017 წლის ჭრილში (გამოცემები 2017 წლის დეკემბერი)

ყოველწლიურმა განახლებებმა 2015-2017 წლების ჭრილში რამდენიმე ცვლილება შეიტანა ფასს სტანდარტებში. კომპანიისთვის რელევანტური ცვლილებები მოცემულია ქვევით:

ბასს 12 მოგებიდან გადასახადები: მოგების გადასახადის შედეგები ინსტრუმენტების გადახდებზე უნდა აისახოს კაპიტალში

ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ დივიდენდების საშემოსავლო გადასახადების შედეგები აღიარებულია მოგება ზარალში, სხვა სრულ შემოსავლებში ან კაპიტალში, იმის მიხედვით, თუ როგორ აღრიცხავდა კომპანია წარსულში მსგავს ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ბასს 12 ეფექტურია ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ სტანდარტის წინასწარი გამოყენება ნებადართულია.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 2.6766 ლარს ერთი ამერიკული დოლარისთვის, 3.0701 ლარს ერთი ევროსთვის (2017 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 2.5922 ლარს ერთი ამერიკული დოლარისთვის, ხოლო 3.1044 ლარს ერთი ევროსთვის), გარდა არაფულადი ერთეულებისა, რომელთა ღირებულებაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით. დენომინირებული უცხოურ ვალუტაში, რომელიც გადაანგარიშებულია ძირითადი საშუალებების შეფასების დღისთვის არსებული კურსით.

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშევა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ოფისის აღჭურვილობა	-	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 6 წლის გაანგარიშებით.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადის მქონე აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და ისინი ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით. ამორტიზებადი აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეტი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ზარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადახდილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუკი ეს აქტივი არ არის. აღრიცხული გადაფასებული

ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

3.5 ლიზინგით აღიარებული ძირითადი საშუალებები/იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირითადი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწვევისთანავე.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ეს ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში, განკუთვნილია საწარმოო მოხმარების ან მოსახურებისათვის. ერთეულები როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე და ექსპლუატაციაში მყოფი სხვა დანადგარები აგრეთვე მიეკუთვნებიან მარაგების კატეგორიას თუ არ აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული საკარაულო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია - FVOCI.

კლასიფიკაცია განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 14.2

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების წინა გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით.

წინა წელს, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო განცდილი ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებისთვის განხილული იყო, ვადაგადასულობის შემთხვევაში ან როდესაც ობიექტური მტკიცებულების მიხედვით კონკრეტული შემხვედრი მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. მოთხოვნები, რომლებიც არ იყო ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებისთვის, განიხილებოდა ჯგუფებში, რაც დამოკიდებულია ინდუსტრიასთან მიმართებაზე, შემხვედრი მხარის რეგიონზე, და სხვა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე. გაუფასურების ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო შემხვედრი მხარის ისტორიული შეუსრულებელი ვალდებულების კოეფიციენტზე თითოეული დადგენილი ჯგუფისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდი რჩება თითქმის იგივე ფასს 9-ის მიხედვით ბასს 39-თან შედარებით, კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე გავლენა არ მოუხდენია ფასს 9-ის დანერგვას. მოუხდევად ამისა, სრულყოფილებისთვის აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია დაბლა.

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საფინანსო იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 14.2-ე შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიდა წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

3.9 დაგროვილი მოგება/(ზარალი)

აკუმულირებული მოგება(ზარალი) მოიცავს ყველა - მიმდინარე და გასული წლის გაუნაწილებელ მოგებას(ზარალს)

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. კომპანიის ხელმძღვანელობა თავიდან შეაფასებს აღნიშნულ საკითხს 2017 წლის 1 იანვრიდან (IAS 12-ის თანახმად).

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი, რომელიც გადასახდელია დასაბეგრ ტრანზაქციებზე მიმდინარე წლის განმავლობაში, ამოქმედებული ან შემდგომში ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის, და ყველა შესწორების გათვალისწინებით წინა წლის მონაცემებიდან გამომდინარე.

3.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საკონსულტაციო მომსახურებიდან, საინჟინრო, არქიტექტურული დიზაინისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებებიდან. შემოსავალი შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე

შემოსავალი მიღებული კონტრაქტის საფუძველზე : RCIP/CS/QCBS-19

შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან, ზემოთ-ხსენებული კონტრაქტის მიხედვით, აღიარდება საგადახდო გრაფიკის საფუძველზე, რაც შეადგენს კონტრაქტის ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ეტაპებს მომსახურების სრულყოფისა, პერიოდულად, ვალდებულების წარდგენისა და შესაბამისი ანაზღაურების პროპორციის მიხედვით.

კომპანიას არ აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება დაუსაბუთებელი შესრულებული სამუშაოებისთვის, მანამ, სანამ შესაბამისი ანგარიში, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიწოდების გრაფიკში, არ დასრულდება, არ წარედგინება კლიენტს და არ დადასტურდება კლიენტის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროულად, ძირითადად თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ლარში

	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	ჯამში
<i>ღირებულება</i>			
2017 წლის 1 იანვარი	-	-	-
მატება	14,030	5,865	19,715
2017 წლის 31 დეკემბერი	14,030	5,865	19,715
მატება	2,464	740	3,204
2018 წლის 31 დეკემბერი	16,494	6,425	22,919
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
2017 წლის 1 იანვარი	-	-	-
წლის ცვეთა	1,529	896	2,425
2017 წლის 31 დეკემბერი	1,529	896	2,425
წლის ცვეთა	5,236	2,101	7,337
2018 წლის 31 დეკემბერი	6,765	2,997	9,762
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
2017 წლის 31 დეკემბერი	12,501	4,789	17,290
2018 წლის 31 დეკემბერი	9,729	3,428	13,157

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	1,299,525	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-
	1,299,525	-
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	853,187	1,333,568
თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები	2	-
სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადები	74,874	271,507
წინასწარ გადახდილი იჯარა	6,245	7,090
	934,308	1,612,165
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,233,833	1,612,165

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიან ღირებულების მიახლოებულ თანხად.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები უახლოეს მომავალში სრულად დაფარვადია. აღნიშნული თანხა შეადგენს წინასწარ გადახდილ დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ).

მე-15 (ბ) შენიშვნაში განხილულია საკრედიტო რისკები და საექვო ვალების რეზერვების ანალიზი. ყველა სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებულია ლარში

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,075,051	887,464
მიღებული ავანსები	1,171,830	1,759,189
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტში	39,644	7,072
	<u>3,286,525</u>	<u>2,653,725</u>

იხილეთ მე-15 შენიშვნა სავალუტო რისკებთან დაკავშირებით.

7 მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისაგან

მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისაგან წარმოადგენს დაფინანსებას, რომელიც მიღებულია ანას ინტერნაშენალი ენტერპრაიზის SPA, GPI SRL და IRD Engineering SRL-ისგან ოპერაციების დაწყების დასაფინანსებლად. მიღებული ფულადი სახსრები (15,490 აშშ დოლარი და 61,828 ევრო) არის უპროცენტო და გათვალისწინებულია მისი დაბრუნება საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მის საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან დისკონტირების შედეგად წარმოქმნილი სხვაობა უმნიშვნელოა.

სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15-ში.

8 შემოსავალი

შემოსავლები, საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებულია N: RCIP/CS/QCBS-19 კონტრაქტით, რომელიც გაფორმებულია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და JV Anas international enterprise SPA & Gestino Progetti Ingegneria SRL & IRD Engineering SRL შორის. (დაკავშირებული მხარეები).

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსავლები აღიარებულია დროის გარკვეულ მომენტში. ხელშეკრულების მთლიანი ფასი განაწილებულია მომსახურების მიმღებებს შორის (შესრულების ვალდებულებები) კომპანიის მიერ მხოლოდ განსაზღვრული ეტაპების დაკმაყოფილების საფუძველზე, რაც ხდება მაშინ, როდესაც კლიენტი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს (დეტალური დანიშნულების ან გამოკითხვის ანგარიში). კომპანიას არ აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება დაუსაბუთებელი შესრულებული სამუშაოებისთვის, მანამ, სანამ შესაბამისი ანგარიში, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიწოდების გრაფიკში, არ დასრულდება, არ წარედგინება კლიენტს და არ დადასტურდება კლიენტის მიერ.

შემოსავლები GPI საქართველოსა და IRD საქართველოსგან წარმოადგენს მოთხოვნებს JV partners მიმართ, რომელიც წარმოიქმნა ზემოთ აღნიშნული კონტრაქტის თანახმად, ეს თანხები წარმოადგენს კომპანიის დარიცხულ ხარჯებს, რომელიც წარმოიშვა ქვეკონტრაქტორ კომპანია შპს ტრანსპროექტი GPI საქართველოსა და IRD საქართველოსთვის.

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავლები რეგიონალური განვითარების დეპარტამენტიდან	5,547,591	3,093,831
შემოსავალი GPI-ის ფილიალი საქართველოში	1,582,216	303,053
შემოსავალი IRD-ის ფილიალი საქართველოში	1,582,216	303,053
	8,712,023	3,699,937

9 ქვე-კონტრაქტორების საკონსულტაციო ხარჯები

2018 წლის განმავლობაში კომპანიას ქონდა შემდეგი საკონსულტაციო ხარჯები ქვემოთ მოცემული ქვე-კონტრაქტორებისგან:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
GPI-ის ფილიალი საქართველოში	3,049,494	1,440,437
IRD-ის ფილიალი საქართველოში	2,128,949	1,293,360
Transproject LTD	1,458,752	1,010,176
SB Engineering	394,256	-
Gamma Consulting LTD	64,357	10,476
Geologica S.R.L	18,933	-
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2,740	-
GeoGraphic LTD	2,099	8,625
ATG LTD	-	97,745
IDM LTD	-	75,630
	7,119,580	3,936,449

10 სხვა ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბუღალტრო, მთარგმნელობითი, იურიდიული და სხვა ხარჯები	82,621	42,707
წარმომადგენლობითი ხარჯები	6,805	1,359
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯი	6,219	3,811
ბიზნეს მივლინებები	5,048	8,521
კომუნალური ხარჯები	4,634	2,435
საკომუნიკაციო ხარჯები	4,560	1,580
საწვავის ხარჯი	-	1,651
სხვა ხარჯები	2,419	2,007
	112,306	64,071

11 სხვა ფინანსური ერთეულები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობებიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(114,663)	198,288
ფინანსური ვალდებულება შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	(1,443)	(26,071)
	(116,106)	172,217

12 მოგების გადასახადი

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია არცერთი დაბეგვრადი ტრანზაქცია, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შესული ახალი საგადასახადო სქემის მიხედვით (იხილეთ შენიშვნა 3.10)

13 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და განხილვები

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

13.1 მნიშვნელოვანი შეფასება კომპანიის საწარმო ფუნქციონირებადობის შესახებ

ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალი საქართველოში დაფუძნდა, როგორც ფილიალი ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის SPA (რომი, იტალია). ფილიალის მიზანი არის საკონსულტაციო მომსახურება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში, კერძო და საჯარო იურიდიული პირებისთვის. კომპანია ჩართულია პროგრამაში Preparation of Feasibility Study and Detailed Design for E-60 Highway Section from Natakhtari to Rustavi (Tbilisi Bypass), რომელიც ფინანსდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტის მიერ, ასევე, აზიის განვითარების ბანკის მიერ.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია ამ პროექტის დასრულებაში და თვლის, რომ უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების მართვას ჩვეულებრივი ბიზნეს კურსის ფარგლებში.

ხელმძღვანელობა გეგმავს მომსახურების გაგრძელებას საქართველოში საკონსულტაციო კონტრაქტების ფარგლებში მაღალ-მასშტაბიანი ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტებზე. ხელმძღვანელობა აქტიურად ცდილობს მსგავსი შესაძლებლობების გამოყენებას საჯარო ტენდერებში მონაწილეობის მიღების გზით.

დამატებით კომპანია ელოდება მომავალში ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად მიიღოს ფულადი მხარდაჭერა დამფუძნებელი კომპანიისგან, მოკლევადიანი უპროცენტო სესხის სახით. (იხილეთ შენიშვნა 7).

14 ფინანსური ინსტრუმენტები

14.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

14.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

3.7 შენიშვნა წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები

2018 წლის 31 დეკემბერი

	ამორტიზებული ლირებულება	FVTPL	პეჯირებისთვის გამოყენებული წარმოებულები (FV)	ჯამი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,299,525	-	-	1,299,525
ფული და ფულის ექვივალენტები	2,027,862	-	-	2,027,862
	3,327,387	-	-	3,327,387

ფინანსური ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერი

	სხვა ვალდებულებები FVTPL	სხვა ვალდებულებები ამორტიზებული ლირებულებით	ჯამი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,075,051	2,075,051
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	512,925	512,925
	-	2,587,976	2,587,976

წინა პერიოდის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები

2017 წლის 31 დეკემბერი	გასაყიდად გამიზნული (FV)	სავაჭროდ გამოყვებადი (FVTPL)	პეჯირებისთვის გამოყენებული წარმოებულები (FV)	ფლობილი ვადის ბოლომდე (ამორტიზებული ლირებულებით)	სესხები და ამოთხოვნები (ამორტიზებული ლირებულებით)	ჯამი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	-	865,163	865,163
	-	-	-	-	865,163	865,163

ფინანსური ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბერი

	სხვა ვალდებულებები FVTPL	სხვა ვალდებულებები ამორტიზებული ლირებულებით	ჯამი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	887,464	887,464
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	304,256	304,256
	-	1,191,720	1,191,720

15 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი ტიპის რისკებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია აქტიურად არ მონაწილეობს ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც ოპციონებს გასცემს. ქვემოთ მოცემულია ის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები რომლებსაც ექვემდებარება კომპანია

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებისგან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობები.

კომპანიას ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ტრანზაქციების გამო, რაც ძირითადად არის ევროში დენომინირებული. კომპანიას ასევე აქვს მოკლევადიანი სესხები ევროსა და დოლარში, რომლებიც გამოიყენება ბიზნესების დაწესებულებების დასაფინანსებლად საქართველოში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული საბოლოო განაკვეთით:

ერთეული

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	აშშ დოლარი	ავრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული საბანკო ანგარიშებზე	243,508	1,724,807
	243,508	1,724,807
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული/პარტნიორი მხარეებისაგან	155,582	357,879
	155,582	357,879
წმინდა პოზიცია	87,926	1,366,928

ერთეული

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	აშშ დოლარი	ავრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული საბანკო ანგარიშებზე	40,381	787,621
	40,381	787,621
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,485	863,222
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული/პარტნიორი მხარეებისაგან	40,153	264,103
	62,638	1,127,325
წმინდა პოზიცია	(22,257)	(339,704)

ცხრილი ასახავს ლარის დოლარის და ევროს მიმართ 15% (2017: 15%) (კლება)/მატების გავლენას კომპანიაზე. 15% (2017: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ევროსა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება/ზარალი	(13,189)	3,339	(205,039)	50,956

უცხოური ვალუტის კურსის მაჩვენებლები იცვლება წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები მოცულობის მიხედვით.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად ფული და ფულის ექვივალენტების, ფული ბანკის და მოთხოვნების გამო.

საკრედიტო რისკების მართვა ხდება ჯგუფურად, კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებსა და დეპოზიტებთან მიმართებაში უმნიშვნელოა.

საკრედიტო რისკების მართვა ხდება ინდივიდუალურად. კომპანიის მიერ მომხმარებელებთან ისტორიული გამოცდილებისა და მოსალოდნელი საკონსულტაციო მომსახურების მიღების საფუძველზე.

კომპანიის დებიტორული დავალიანება მოიცავს 3 მთავარ კონტრაქტორს, რომელთაგანაც ორი არის დაკავშირებული მხარე (GPI საქართველო და IRD საქართველო) და ერთი, საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. კომპანია არ მოელის საკრედიტო ზარალს აღნიშნულ კონტრაქტორებთან.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს ზარალის რეზერვის შეფასებისთვის, მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით ყველა სავაჭრო მოთხოვნების მიმართებაში, რადგან მათ არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი.

ზარალის მოსალოდნელი განაკვეთი განისაზღვრება გასული ერთი წლის განმავლობაში გადახდების საფუძველზე და ამასთან ამ პერიოდის შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ყოფილა მოსალოდნელი ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიობას.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		
6 თვეზე ნაკლები	3,799,450	3,799,450
6 თვიდან 1 წლამდე	-	-
1-5 წლამდე	-	-
5 წელზე მეტი	-	-
	3,799,450	3,799,450

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		
6 თვეზე ნაკლები	2,957,981	2,957,981
6 თვიდან 1 წლამდე	-	-
1-5 წლამდე	-	-
5 წელზე მეტი	-	-
	2,957,981	2,957,981

კომპანია განსაზღვრავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, ლიკვიდობის რისკის შეფასებისა და მართვისთვის, ნაწილობრივ, მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭრო მოთხოვნების საშუალებით. ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები უნდა იყოს მიმდინარე ფულად გასავლებზე ნაკლები. კომპანია გეგმავს უზრუნველყოფის ვალდებულებები, საკონსულტაციო კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდები, სარეპორტო თარიღამდე შესაბამისად.

16 პირობითი ვალდებულებები

16.1 ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. მთავარი დაბრკოლება შემფგომი ეკონომიკური წინსვლისა არის ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებული ეკონომიკის, რეგიონის არასტაბილურობისა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის ფონზე.

საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრას მივყავართ ფულადი გზავნილების დეფიციტთან საზღვარგარეთიდან, რომელზეც საქართველოს ეკონომიკა ძლიერადაა დამოკიდებული. შემდგომი კლება მოპოვებად პროდუქტების საერთაშორისო ფასებზე, პირდაპირი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობების განუსაზღვრელობა, ინფლაცია შეიძლება გამოდგეს ქვეყნისა და კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად. თუმცა, ვარაუდები ამ მოულოდნელობებში არის ძალიან მარალი, ამიტომ, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება ამ მონაცემებისა, რომელთა მიხედვითაც მიმდინარე ღირებულება კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებებისა შეიძლება შეიცვალოს.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ამ მომეტისათვის არსებულ პირობებში, შესაბამისი შეფასების მეთოდები არის დანერგილი კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

16.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზეა და ისეთი სადაზღვევო პაკეტი, რომელიც გავრცელებულია სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის მისაწვდომი საქართველოში. კომპანიას არ აქვს სრულად დაზღვეული ადგილობრივი ბიზნესის შეწყვეტის რისკი და ვალდებულებები შესაძლოა მხარეების მიმართ ქონების ან გარემოს დაზიანების გამო, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უბედური შემთხვევების შედეგად დაკავშირებული კომპანიის ქონებასთან ან საქმიანობასთან. სანამ კომპანიას არ ექნება ადეკვატური დაზღვევის შესაძლებლობა, არსებობს რისკი დანაკარგების, აქტივების განადგურების ან მნიშვნელოვანი ზიანის, რომელსაც შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

16.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარსებულ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

დაფუძნებიდან კომპანიისა, მისი მმართველი პირის ანაზღაურება ხდება დამფუძნებელი კომპანიის მიერ, მათ შორის არსებული კონტრაქტის თანხმად, რაც ასევე ითვალისწინებს სხვა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობასაც. თანამშრომლის ასეთი სარგებელი არ აღირიცხება კომპანიის ხარჯების ანგარიშში და არ იქნა წარდგენილი საქართველოს საგადასახადო ავტორიტეტების წინაშე, საკონტრაქტო ურთიერთობისა და ვალდებულებების არარსებობიდან გამომდინარე.

არ არსებობს საკონტრაქტო ურთიერთობა დირექტორსა და ანას ინტერნაშენალ ენტერპრაიზის ფილიალს შორის, მისი დანიშვნა მხოლოდ დანიშვნის საფუძველზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანხმად, როგორც დირექტორის, და ასეთი მმართველი პიროვნება ითვლება ფილიალის თანამშრომლად. შესაბამისად, შემოსავალი, რომელიც გაცემული იქნება ასეთ ადამიანზე, არის დაბეგვრადი საქართველოს ტერიტორიაზე.

ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღიდან, დამფუძნებელი კომპანია ახორციელებს შეფასებისა და დამტკიცების პროცესს, მათთვის, ვინც დაკავშირებულია ხელფასების განაკვეთის მართვასთან, განკუთვნილი დირექტორის მოვალეობის შესრულებასთან. მსგავსი პროცესების შესრულებისა და სრულყოფისას, შესაბამისი პერსონალური საშემოსავლო გადასახადი შეიძლება აღრიცხული და წარდგენილი იქნეს. თუ საგადასახადო ინსპექცია განხორციელებდა ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალისა საქართველოში, მანამდე შესაძლებელია, რომ საქართველოს შემოსავლების სამსახური დააკისრებს დამატებით საგადასახადო ვალდებულებებს, ჯარიმებისა და საურავების სახით. ასეთი დამატებითი ვალდებულების შეფასება ძნელია, საინსპექციო მეთოდების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

17 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯამება

ცვლილებები კომპანიის ვალდებულებებში წარმოქმნილი ფინანსური საქმიანობიდან შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ლარში	მოკლევადიანი სესხები	ჯამი
2017 წლის 1-ლი იანვარი	-	-
ფულადი ნაკადები		
ზრდა	280,082	280,082
არაფულადი		
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	24,174	24,174
2017 წლის 31 დეკემბერი	304,256	304,256
ფულადი ნაკადები		
გადახდები	(3,160)	(3,160)
არაფულადი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან გადმოტანა	207,816	207,816
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	4,013	4,013
2018 წლის 31 დეკემბერი	512,925	512,925

18 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა

18.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანია არ ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალს, რადგან იგი წარმოადგენს ფილიალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია კონტროლდება ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზ SPA-ის მიერ, დამფუძნებელი კომპანია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი ორგანო არის იტალიის მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს სახით.

18.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ტრანზაქციები		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები:		
შემოსავალი სამშენებლო სამუშაოებიდან	6,164,432	606,106
ქვე-კონტრაქტორებთან კონსულტაციის ხარჯები	5,178,443	2,773,797
ბალანსები		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,299,525	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,072,546	863,222
მიღებული ავანსები	732,032	1,084,446
სათავო ოფისი:		
მოკლევადიანი სესხები მიღებული დაკავშირებული მხარეებისგან	512,925	304,256